აღმართ-აღმართ

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა;

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

შემიდუღდა მაშინ სული და გული;
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული.

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სხივები დამიწყო.

ხმა სიმართლი შეუპოვრად გაისმა,
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).

ცის მახლობლად ფეხ-ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: ნცხოვრებავ, მეც ერ კაცად მიწამე!ნ

და ვიფიქრენ ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?ნ

გადვიხედე, ვნახე რომ სხვას ჰმონობდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: ნმტერს როგორ მონობდა?

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი...
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!ნ

მივაძახე: ნჭინჭარში ნუ ვარდები!...
ნუ გგონია იქ ია და ვარდეი!

შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!ნ

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,
და დამასო საუკუნოდ დანაგულს,

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო! ვეღარ გკურნავ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვს, მარად ის!
ხელ-დაკრებით განისვენე მარადის!

1876 წ.